



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)  
OF GEORGIA

დაგით აღმაშენებლის გამზირი N80  
0102 თბილისი, საქართველო  
ფერები ხაზი: 1481(24/7)  
[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)  
ელ-ფოსტა: [info@ombudsman.ge](mailto:info@ombudsman.ge)

20 მაი 2024 წ.

KA00009367877624

№ 2024/1178

საქართველოს გენერალურ პროკურორის  
ბატონი ირაკლი შოთაძეს

ნინადადება

მოქალაქეების [REDACTED] და [REDACTED] მიმსახურების თავისუფლების დარღვევის შესაძლო  
ფაქტების გამოძიების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგმაგნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.[1]

ბატონი ირაკლი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეისწავლა ადვოკატი [REDACTED] განცხადება, [REDACTED]  
(დაბ. [REDACTED] პასპორტის ნომერი: [REDACTED] პ/ნ [REDACTED]) და [REDACTED]  
(დაბ. [REDACTED] პასპორტის ნომერი: [REDACTED] პ/ნ [REDACTED]) უსაფუძღლოდ საბლვოის კვეთის შემთხვევასთან დაკავშირებით.

საქმის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ შესაძლოა, ადგილი პქნდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური მომსახურების მიერ განვითარებულ დანამდებულთან ბრძოლის სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს გამომძიებლის მიერ, [REDACTED]  
და [REDACTED] საქართველოთან თავისუფლად გასვლის უფლესობის განხორციელებაში უგანთოდ ხელშეძლას, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქეები, [REDACTED] და [REDACTED], კანონიერად იმყოფებოდნენ საქართველოში. 2023 წლის 22 აპრილს, [REDACTED] და [REDACTED] სარფის სასამართლო პენქტის გავლით აპირებდნენ თურქეთის რესპუბლიკაში გადასვლას, თუმცა საქართველოს მესამართულებრივისა და კვუფის ხელმძღვანელის მიერ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უარი ეთქვათ საქართველოს სამღვრის კვეთაზე.

ადვოკატის განმარტებით, კანონიერ მოთხოვნაზე რომ წარედგინათ სამღვრის კვეთის აკრძალვის შესახებ დოკუმენტი - მიაწოდეს მხოლოდ ფურცელზე დაწერილი, ვინმე [REDACTED] მობილური ტელეფონის ნომერი [REDACTED], რომელმაც სატელეფონო საუბრისას გახედარტა, რომ იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური მომსახურების [REDACTED] და [REDACTED] მოწმის სახით იყვნენ გამოსაკითხი და აკრძალული პქნდათ საბლვოის ქვეთა. თუმცა, [REDACTED] გადმოცემით, სამღვრის კვეთის შემთხვევის შესახებ სასამართლოს განჩინება არ არსებობდა. ადვოკატის მითითებული გარემოებები აცნობა ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.[2]

სახალხო დამცველის აპარატის მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას და გამოითხოვა ინფორმაცია [REDACTED] და [REDACTED] სამღვრის კვეთის შემთხვევის ფაქტზე.[3] წარმოდგენილი ინფორმაციით, [REDACTED] და [REDACTED] მიმართ საქართველოს სახელმწიფო სამღვრის გადაკვეთაზე მემღვდვა, რაიმე სამართლებრივი საფუძვლით, 2023 წლის 24 მაისის

მდგომარეობით არ ფიქსირდებოდა.[4]

სახალხო დამცველის აპარატმა ხსენებულა პირთა საპროცესო სტატუსისა და სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების შეჩერების ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოიხოვა ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურისგან.[5] მიღებული პასუხის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კომინიალური პოლიციის დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, მოცემულ ეტაპზე, [6] და [7] მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობდა.[6]

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას,[7] რომლის განმარტებით, 2023 წლის 22 აპრილს, სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე (126) დაფიქსირდა ადგომის შეტყობინება, სადაც მითითებული იყო, რომ სარფის სასამართლო-გამჭვებ უნებერებე, მისი დაცვის ქვეშ მყოფ უკრაინის მოქალაქეებს, [8] და [9] არ მიეცათ საზღვრის კვეთის საშუალება.

ამავე პასუხის თანახმად, გენერალური ინსპექციაში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება და გამოიკითხა საქმესთან შემცებლობაში მყოფი სამინისტროს მოსამსახურე, რომელიც განმარტა, რომ მის წარმოებაშია სისხლის სამართლის N [10] საქმე, [11] მომხმარებლების მხრივან, ამავე ბანკის მიმართ განხორციელებული ჯგუფური თაღლითობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ შევენერებით. ვინაიდან არსებობდა ვარაუდი, რომ [12] და [13] შესაძლოა, სცოდნოდათ სისხლის სამართლის საქმის გარემონტირებათ დასაძგენად საქირო ისფორმაცია, მონმის სახით გამოსაკითხად დაბარებულ იქნენ საგამოძიებო ორგანოში. მას შემდეგ, რაც [14] და [15] არ გამოცხადდნენ საგამოძიებო ორგანოში, გამოძიებლის მიერ განხორციელდა მათი საზღვრის კვეთის თაობაზე კონტროლზე დანესება.

[8]

სახალხო დამცველის აპარატმა გენერალური ინსპექციისგან გამოითხოვა სამსახურებრივი შემოწმების მასალები.[9] გენერალურმა ინსპექციამ წარმოადგინა მხოლოდ გამომძიებლის ახსნა-განმარტება,[10] იმ დასაბუთებით, რომ სხვა დოკუმენტაცია შეიცავდა გამოძიების შესახებ ინფორმაციას, რომელზეც არ არის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.[11]

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა გენერალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილი, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში სამინისტროს თანამშრომლისთვის ჩამორთმეული ახსნა-განმარტება. თანამშრომელი მიუთითებდა, რომ [16] და [17] შესაძლოა, სცოდნოდათ ინფორმაცია მისადამი დაქვემდებარებული განცყოფილების ხარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ხოლო მათი საკონტაქტო მონაცემებისა და ადგილსამყოფებულის დადგრენა ვერ მოხერხდა. ამიტომ, საქმის ზედამხედველ პროკურორთან შეთანხმებით, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, განახორციელა მითითებული პირების საზღვრის კვეთის კონტროლზე აყვანა, შეზღვნით - „შეაჩერეთ და აცხომეთ ინიციატორს“. ხოლო 2023 წლის 22 აპრილს, როდესაც [18] და [19] სცადეს საზღვრის კვეთა, ასევე, პროკურორთან შეთანხმებით, მიღებულ იქნა მათთვის საზღვრის კვეთის უფლების შემზღვევა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, გამომძიებლის დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დაადგინა. ამასთანავე, მიუთითა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, პროკურატურა ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას. აქედან გამომდინარე, გენერალური ინსპექცია არ ახდენს ზედამხედველობას გამოძიებასა და გამოძიების პროცესში მოქალაქეებისთვის საზღვრის კვეთის უფლების შემზღვევაზე.[12]

ვინაიდან, სამინისტროს თანამშრომელი ახსნა-განმარტებაში მიუთითებდა, რომ [20] და [21] საზღვრის კვეთაზე კონტროლი დააწესა პროკურორთან შეთანხმებით, სასამართლოს განჩინების გარეშე, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა ასევე გენერალურ პროკურატურას.[13]

გენერალური პროკურატურის განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კომინიალური ბოლოიცის დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რაიმე სახის აკრძალვა/შეზღვევა არ გამოყენებულა.[14]

## სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება.[15] ამ უფლებათა შემზღვევა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საბოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.[16]

სამიქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, თითოეულ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც.[17] აღნიშნული უფლება არ ექვემდებარება რაიმე შეზღვევას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების უმიმროების, სამოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის კანმრთელობისა და

შინაგანის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად და შესაბამისობაშია წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებთან.[18]

უცხოელისთვის საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის საფუძვლები განსაზღვრულია „უცხოელთა და მოქალაქეობის აღმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის თანახმად, უცხოელს საქართველოდან გასვლაზე შეიძლება უარი ეთქვას: ა) თუ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მას ეზღუდება საქართველოდან გასვლა; ბ) თუ იგი მსჯავრდებულია ჩადენილი დანაშაულისთვის - სასჯელის მოხდამდე ან სასჯელისგან გათავისუფლებამდე; გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ იგი თავს არიდებს საქართველოს კომპეტენტური აღმინისტრაციული ორგანოს მიერ შესთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას - მოვალეობის შესრულებამდე; დ) საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.[19]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეის პასპორტის, ნეიტრალური სამგბავრო დოკუმენტის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ პირი, რომელიც გაცემულია საქართველოს მოქალაქეის პასპორტი, ნეიტრალური სამგბავრო დოკუმენტი, ბრალდებულია (შეჯავრდებულია) ამ კოდექსით დადგენილი წესით და არსებობს დააბაჟებული ვარაუდი, რომ აღნიშვნული პასპორტის/დოკუმენტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოდან გასვლას ან საზღვარგარეთ გადაადგილებას.[20]

ქებნილი ბრალდებულისათვის (მხარევრდებულისათვის) საქართველოს მოქალაქეის პასპორტის, ნეიტრალური სამგბავრო დოკუმენტის მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროტურორი წერილობითი შეამდგომლობით შემართავს გამომდების ადგილის მიხედვით სასამართლოს, რომელსაც საკმარისი საფუძვლის არსებობისას გამოაქვს განწინება ამ ღონისძიების გამოყენების შესახებ.[21]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ასევე აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ბრალდებულისთვის პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულების დაკისრებას და საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვას, რაზეც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.[22]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოში კანონიერად მყოფი პირისთვის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელშეშლა.[23]

საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანების თანახმად, პროკურატურის გამომძიებლის საგამომძიებლო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე.[24]

### წინამდებარე საქმის ანალიზი

სახალხო დამცველის პარატის მიერ საქმის შესავლის შედეგად დადგინდა, რომ [REDACTED] და [REDACTED] მიმართ, მათთვის საქართველოდან გასვლის უფლებით სარგებლობაში ხელშეშლის დროს, არ ყოფილა დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა და შესაბამისად, სასამართლოს მიერ არ ყოფილა გამოტანილი მათთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის უფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება.

ამასთან, საქმის შესწავლის შედეგად, [REDACTED] და [REDACTED] მიმართ საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის სხვა კანონიერი საფუძვლის არსებობის ფაქტიც არ იკვეთება.

ყურადსაღებია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ გენერალური ინსპექციისთვის მიცემული ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, თანამშრომელი პარატურულის, რომ სასამართლო განხილების გარეშე, პროკურორთან შეთანხმებით, დაწესდა [REDACTED] და [REDACTED] შიმართ საზღვრის კვეთის კონტროლი, მათი საგამომძიებლო თრგანოში წარდგენისა და საგამომძიებლო მოქმედებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. ამ საფუძვლით საქართველოდან გასვლის უფლების შეზღუდვას კი საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ამდენად, წარმოდგენილი განწხადებისა და გამოთხოვილი ინცორმაციის ურთიერთშეჯრების შედეგად იკვეთება, რომ [REDACTED] და [REDACTED], სათანადო სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის პირობებში, უკანონოდ შეეზღუდათ საქართველოს ტრიუმფის დატვირთვის უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალკეული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და გამომძიებლის ქმედების სამართლებრივი შეფასების მიზნით, აუცილებელია გამომდების დაწყება და შესაბამისი საგამომძიებლო/საპროცესო მოქმედებების ჩატარება.

### დასკვნა

ყოველივე შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმართ, რომ შესაძლოა, იგვეთებოდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ, 2023 წლის 22 აპრილს, [REDACTED] და მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის შე-2 ხაზილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც გამოიხატა სამსახურებრივი მდგრადის გამოყენებით, მათთვის

საქართველოდან თავისუფლად გასცლის უფლების განხორციელებაში, სავარაუდოდ, უკანონოდ ხელის შეძლაში.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:


1. დაიწყოთ გამოძიება [REDACTED] და [REDACTED] მიმოსვლის თავისუფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, წადეხილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით;
2. გამოძიება დაუკვემდებაროთ პროკურატურის გამომძიებლს, ვინაიდან, აღნიშნული დანაშაული შესაძლოა ჩადენილი იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ;
3. გამოძიების ფარგლებში, გთხოვთ, დაადგინოთ გამომძიებლის მითითების ნამდვილობა იმასთან დაკავშირებით, რომ მან [REDACTED] და [REDACTED] მიმოსვლის თავისუფლების შემცირებული და პროკურორთან შეთანხმებით გახასორციელა.

ამასთან, გთხოვთ, წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

- [1] წინადადება მომზადებულია განმცხადებლის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადებით; წინადადება მიმოსვლის თავისუფლების სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ შესაძლებელი ინფორმაციის საფუძველზე.
- [2] ადგომით [REDACTED] 2023 წლის 24 აპრილის N4578/23 განცხადება.
- [3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 27 აპრილის N15-15/4193 წერილი.
- [4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 24 მაისის NMIA 7 23 01464859 წერილი.
- [5] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 27 აპრილის N15-15/4192 წერილი.
- [6] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 8 მაისის N13/31320 წერილი.
- [7] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 28 აპრილის N15-15/4201 და 22 მაისის N15-15/4925 წერილები.
- [8] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 6 ივნისის NMIA 4 23 01799071 წერილი.
- [9] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 31 ივლისის N15-15/7454 და 7 აგვისტოს N15-15/7757 წერილები.
- [10] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 24 ივლისის NMIA 4 23 02131890 და 3 აგვისტოს NMIA 7 23 02254824 წერილები.
- [11] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 18-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველის უფლება აქვს შემონმების ჩატარებისას გაეცნოს სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომელიმე მიღებული გადაწყვეტილები კანონიერ ძალაშია შესული.
- [12] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2023 წლის 18 დეკემბრის NMIA 8 23 03719594 წერილი.
- [13] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 22 დეკემბრის N15-15/12385 წერილი.
- [14] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 29 იანვრის N13/5364 წერილი.
- [15] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14, პუნქტი 1.
- [16] იქვე, პუნქტი 2.
- [17] „სამოქალაქო და ბოლოიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 12, პუნქტი 2.
- [18] იქვე, პუნქტი 3.
- [19] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 49.
- [20] საქართველოს სისხლის სამართლის საბროვესო კოდექსი, მუხლი 163.
- [21] იქვე, მუხლი 164, ნაწილი 1.
- [22] იქვე, მუხლი 199, ნაწილი.
- [23] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 152, ნაწილი 2.
- [24] „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანება, დანართი, პუნქტი 2.

საქართველოს სახალხო დამცველი



ლევან იოსელიანი